საქართველო
GEORGIA

გარემოს დაცვისა და
სოფლის მეურნეობის
სამინისტრო

MINISTRY OF ENVIRONMENTAL
PROTECTION AND AGRICULTURE
OF GEORGIA

N 8267/01
04/08/2021

8267-01-2-202108041628

შპს „გინუს“

მის: ქ. რუსთავი, შოთა რუსთაველის ქუჩა, კორპ. 32

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრომ განიხილა სკოპინგის დასკვნის მიღების მიზნით წარმოდგენილი თქვენი 2021 წლის 14 ივლისის განცხადება N12446, რომელიც ეხება გარდაბანის მუნიციპალიტეტში სოფ. ახალი სამგორის მიმდებარედ სასარგებლო წიაღისეულის 81 766 ტონა თიხა-თაბაშირის (გაჯი) მოპოვებას და გაცნობებთ შემდეგს:

- სკოპინგის ანგარიში უნდა მოიცავდეს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნების შესაბამისად შედგენილ საბადოს დამუშავების გეგმას (მათ შორის, რეკულტივაციის პროექტს);
- წარმოდგენილ სკოპინგის ანგარიშში მოცემული უნდა იყოს კარიერის დამუშავების ეტაპზე გათვალისწინებული ტექნიკისა და მათი განთავსების მოედნების/პირობების შესახებ ინფორმაცია;
- ფუჭი ქანების განთავსების ადგილმდებარეობის კოორდინატები და Shp ფაილები, მათი მოცულობა და შესაბამისი საპროექტო დოკუმენტაცია;
- სკოპინგის ანგარიშთან ერთად განსახილველად წარმოდგენილი უნდა იყოს SHP ფაილი (WGS_1984_37N(38N) პროექციით), სადაც მოცემული იქნება: საბადოს საპროექტო ტერიტორია და შესაბამისი ინფრასტრუქტურული ობიექტები (მისასვლელი გზები, სამშენებლო ბანაკები, სამშენებლო მოედნები, სანაყაროს ტერიტორია (ასეთის საჭიროების შემთხვევაში)).

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამინისტრო სკოპინგის დასკვნის გაცემის მიზნით ადმინისტრაციულ წარმოებას დაიწყებს აღნიშნული შენიშვნების/საკითხების გათვალისწინებით გადამუშავებული სკოპინგის ანგარიშის წარმოდგენის შემდეგ.

ნინო თანდილაშვილი

მინისტრის მოადგილე

0159, საქართველო, თბილისი, მარშალ გელოვანის გამზ. №6. ტელ.: +(995 32) 2378013 / +(995 32) 2378044
www.mepa.gov.ge
6, Marshal Gelovani ave., Tbilisi 0159, Georgia, Phone.:+(995 32) 2378013 / +(995 32) 2378044